პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეუერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 16 (13137) | ხუთშაბათი, 21 იანვარი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენს ნომერში:

- დავნერგოთ ლენინური სტილი იდეოლოგიურ მუშაობაში
- ფრანგები კითხულობენ „ვეფხისტყაოსანს“
- ახალი ამბები, ცნობები

ამ სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ვლ. გიწაბურგმა გუშინ გადაიღო, აღბეჭდილია საქართველოს დედაქალაქის გული — ლენინის მოედანი — მშრომელთა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და ძვირფასი ადგილი.

ლენინური იდეების თანამგზავნელი ძალა

ოქტომბრის ღრმა რწმენით ცხოვრობენ და შრომობენ საბჭოთა ადამიანები. ჩვენი ბალბის გმირული გზა გაჩირაღდნებულია ლენინიზმის იდეების შუქით. რევოლუციური თეორია დიდი ლენინის პარტიის პოლიტიკის მეცნიერული საუძველია; იგი საშუალებას გვაძლევს სწორად გვესმოდეს სოციალისტური განვითარების კანონზომიერებანი, ნათლად ვხედავდეთ წინსვლის გზას.

კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სულისკვეთებით აღზრდა პარტიის ერთ-ერთი მუდმივი საზრუნავია. პარტია ახორციელებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობისადმი მეცნიერულ ხელმძღვანელობას, ზრდის საბჭოთა ადამიანებს მაღალი იდეურობისა და კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით. ჩვენი სახელმწიფო, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, ძლიერია მასების შეგნებულობით. და ეს პეშმარიტება ჩანს ჩვენი საბჭოთა სინამდვილის ყველა უბანზე.

ლენინური მითითებების შესაბამისად კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას უთმობს მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინურ განათლებას. პარტიის, მთელი ხალხის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმები. ამ პლენუმების გადაწყვეტილებები ცხადყოფენ ჩვენი პარტიის ზრუნვას პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური პრინციპების თანმიმდევრული განხორციელებისათვის, ყველა მშრომელთა შეგნებულობის, აქტივობის ამაღლებისათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებები უდიდეს გავლენას ახდენენ მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაზე, განმტკიცდა იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლთა შემოქმედება და ინიციატივა. შემცირდა ფორმალიზმი, გაძლიერდა მუშაობის ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების ძიება. იზრდება მისი იდეური დონე, ქმედითობა, მოზანსწრაფულობა. სულ უფრო ფართოვდება მასებზე იდეოლოგიური ზეგავლენის სფერო. კონკრეტული და მოკნილი ხდება იდეოლოგიური მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, მტკიცდება ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობის ერთიანობა.

თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, გორის, ზუგდიდის და სხვა პარტიული ორგანიზაციების იდეური ცხოვრების მაგალითი ცხადყოფს პოლიტიკური განათლების სისტემაში ჩაბმული კომუნისტებისა და უპარტიოების აქტივიზაციას შეისწავლონ რევოლუციური თეორია კომუნისტები ახლა უფრო მეტად ზრუნავენ მეცადინეობის იდეური დონისათვის, შემოქმედებითად უდგებიან მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას, მიღებულ პოლიტიკურ ცოდნას უფრო მჭიდროდ უკავშირებენ ცხოვრებას. პროპაგანდისტები ცდილობენ აჩვენონ, თუ როგორ ხორციელდება პარტიის პოლიტიკა, აშუქებენ ჩვენი ქვეყნის წარმატებებს. ასწავლიან მსმენელებს ღრმა ანალიზი გაუკეთონ ფაქტებსა და მოვლენებს, გამეიდულად ამხილონ შეცდომები და ნაკლოვანებანი თავიანთი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში, გამონახონ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები.

წელს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების იდეურ ცხოვრებაში ფართო გამობმაურება პპოვა ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციების გამოცდილებამ. ლენინგრადელთა გამოცდილებაში ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ პოლიტიკური განათლების სისტემაში ჩაბმული მსმენელები ღრმად სწავლობენ ვ. ი. ლენინის შრომებს, ქუთაისის საკონსერვო ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში ლენინგრადელთა გამოცდილების მიხედვით შემოიღეს პოლიტიკური განათლების ახალი ფორმა — ლენინური გაკვეთილი. მან ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ცხადია, ასეთ კარგ ინიციატივას ყოველთვის მხარი უნდა დავუჭიროთ.

ყველა ფორმის პოლიტიკური განათლების მსმენელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ვ. ი. ლენინის ნაშრომებს, რომლებიც მიძღვნილია თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში პარტიის როლის, ახალი საზოგადოების შექმნაში ხალხის მასების შემოქმედებითი ინიციატივის მნიშვნელობის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, შინაპარტიული ცხოვრების ძირითადი პრინციპების და ნორმების, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის და სხვა საკითხებისადმი.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ლენინური სტილი იდეოლოგიურ მუშაობაში გულისხმობს მაღალ პრინციპულობას, რომელშიც შეერთებულია კომუნისტური იდეურობა, მტრული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობა, რევოლუციური თეორიის შემოქმედებითი გამოყენება და განვითარება, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა, მასების დარწმუნება და მათი დარაზმვა კომუნისტური მშენებლობის ძირეულ ამოცანათა განსახორციელებლად.

იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისათვის პასუხისმგებელია ყველა კომუნისტი. პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების მოვალეობა ის არის, რომ თვითეული კომუნისტი, და უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელი, ყველგან და ყოველთვის იყოს პარტიის იდეური მებრძოლი. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ წაიკითხო ერთი ან ორი მოხსენება თუ ლექცია, ზოგჯერ ესაუბრო ადამიანებს. საქმე ეხება იმას, რომ თვითეულ ხელმძღვანელს, კომუნისტს შინაგან მოთხოვნილებად გადაექცეს ყოველდღიური ურთიერთობა ადამიანებთან, ეწეოდეს აღმზრდელობითს მუშაობას, ირჩენდეს ადამიანებისადმი უურადღებას, ლენინურ პრინციპულობას, გულისხმიერებას, არა მარტო წინასწარ განსაზღვრული ტრიბუნიდან, არამედ ყველგან — სადაც მასაა, ჩვენი კადრები უნდა ებმებოდნენ საუბარსა და მსჯელობაში, ეხმარებოდნენ მშრომელებს სწორად ეხმოდეთ პარტიის პოლიტიკა, ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მოვლენები.

ადამიანები იწრთობიან ცხოვრებაში, პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში. იდეური წრთობის სკოლას ისინი გადიან კოლექტივში პრინციპულობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ერთიმეორისადმი მომხმოვნელობის. გულწრფელობის ვითარებაში, ყოველივე ჩამორჩენილის, კონსერვატიულის, მუშაობაში შეცდომებისა და ნაკლოვანებების შეუწყნარებლობის ვითარებაში. პარტიული ორგანიზაცია მოწოდებულია იბრძოდეს კოლექტივში ისეთი ვითარების შექმნისათვის, რომ თვითეული ადამიანი იზრდებოდეს პოლიტიკურად, იძენდეს კომუნიზმის აქტიური მშენებლის თვისებებს.

მიმდინარე წელი შვიდწლედის დამამთავრებელი წელია. ჩვენი პარტიის თვითეული იდეური ჯარისკაცის სასსლხორციელი მოვალეობაა ახალი გაკვნა მისცეს მახების პოლიტიკურ შეგნებულობას და აიყვანოს იგი სადღეისო ამოცანების დონეზე.

ჩვენი პარტიის იდეები და ტრადიციები დიდი მამამოძღვნელი ძალაა. ლენინური ტრადიციებისადმი ერთგულება ზრდის ხალხის რევოლუციურ სულისკვეთებას, შემოქმედებითს აქტივობას სკკპ პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლაში.

ლენინიზმი უკვდავია!

მოსკოველთა და ლენინგრადელთა თაოსნობა — მოქმედებაში!

ლაშქრობა საუკეთესო პროდუქციისათვის

ხარისხიც, ასორტიმენტიც

ქუთაისი. (საკ. კორ.). წლის დამდეგიდანვე რიტმულად, გამართულად მუშაობს ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც ვადამდე შეასრულა იანვრის პირველი ნახევრის დავალება.

ფეიერვერმა მნიშვნელოვნად აამაღლეს პროდუქციის ხარისხი. დაგეგმილთან შედარებით ერთი პროცენტით გაიზარდა პირველი ხარისხის თეთრეული ტრიკოტაჟის, ხოლო ორი პროცენტით ზედა ტრიკოტაჟის გამოშვება.

ფართოვდება პროდუქციის ასორტიმენტი. გასული წლის 25 სახის ნაწარმის ნაცვლად წელს აქ 32 სხვადასხვა არტიკულის ტრიკოტაჟს უშვებენ. მოსკოვისა და ლენინგრადის 38 საწარმოს ინიციატივის საპასუხოდ ფაბრიკის კოლექტივი ამისათვის იბრძვის, რომ თვითეული ნაწარმი საკმაოდ ეფექტიანი ეყოს.

ყირიმის ბუნებრივი გაზის პირველი მომხმარებელი გახდება საკის ქიმიური ქარხანა და თბოელექტროცენტრალი. მეორე რიგში გაზს მიიღებს სიმფეროპოლი. აქედან მაგისტრალის ერთი ტოტი წავა სევასტოპოლისაკენ, მეორე — ყირიმის სამხრეთ სანაპიროსაკენ დიდი იალტის ჯანმრთელობის კერების გაზიფიკაციისათვის.

დასახულია, რომ მაგისტრალის პირველი რიგი მწყობრში ჩააყენონ წელს.

პირველად შახტმშენებლობაში

ტყიბული. (საკ. კორ.). ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ენერგიულად დაიწყეს მუშაობა ტყიბულელმა შახტმშენებლებმა. განსაკუთრებული შრომითი აღმავლობა იგრძნობა მიწისქვეშა ჰორიზონტებზე. გამყვანმა ყველა ბრიგადა წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას.

შრომაში განსაკუთრებით დაწინაურდა გამყვანთა ის ბრიგადა, რომელსაც ცნობილი შახტმშენებელი ი. ჩაბრაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადას. მინდობილი აქვს მეტად პასუხსაგები სამუშაო. მან დასავლეთის შახტში უნდა მოამზადოს ახალი, ღრმა, რიგით მეოთხე სამთო ჰორიზონტი.

ამჟამად ბრიგადა წარმატებით ახორციელებს სავენტილაციო ჭაურის გაყვანას. გამყვანები ახლა 350 მეტრის სიღრმეზე იმყოფებიან და მამაცურად ერკინებიან საუკუნოვან ქანებს. კიდევ რამდენიმე დღე, და ბრიგადა მიაღწევს საპროექტო სიღრმეს — 400 გრძივ მეტრს.

ფეიქართა სიტყვა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდის ბამბის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა მოსკოველთა და ლენინგრადელთა თაოსნობის საპასუხოდ იკისრა 1965 წლის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით 15 დეკემბრისათვის შეასრულოს და გეგმის ზვრით 8 ათასი მანეთის საქონელი გამოუშვას.

პროდუქციის ხარისხის, მისი გამოსადეგობისა და გაფორმების გაუმჯობესების მიზნით კვარტალში ერთხელ ფეიერები სახოგადოებრივი და სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად მოაწყობენ „ხარისხის დღეს“.

ახალი ვალდებულება რომ იკისრეს, ზუგდიდელმა ფეიერებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ცხაკაიის ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკის კოლექტივი.

ზეგენგმითი მარგანეცი

ჭიათურა. (საკ. კორ.). შეიდწლედის დამამთავრებელი წლის პირველი დღეები წარმატებით დაიწყეს ჭიათურელმა მაღაროელებმა, რომლებიც მომმე ნიკოძოლელ თანამოსაქმეებთან სოციალისტურ შეჯიბრებას განაგრძობენ. ჭიათურელები საქმით უპასუხებენ მოსკოველთა და ლენინგრადელთა პატრიოტულ თაოსნობას — იბრძვიან მხოლოდ მაღალხარისხოვანი მარგანეცისათვის. მათ გადაკეთებით შეასრულეს სასაქონლო მარგანეცის დამზადების თანვრის ორი დეკადის დავალება და მეტალურგიულ ქარხნებს ეშელონებით ზეგენგმითი მარგანეცი გაუგზავნეს.

გაზაფხული გვიხმობს

მექანიზატორები ავანგარდში

სასიმინდე ნაკვეთებში, ბაღ-ვენახებში, სარემონტო სახელოსნოში საქმიანი ფუსფუსია. გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ი. კვეილაძე) მექანიზატორებს ბევრი სამუშაო გაუჩნდათ. ჯანსაღი ტექნიკა უნდა დაახვედრონ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს. სარემონტო სახელოსნოში, სადაც მუშაობას მეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი ვ. კვანანაძე ხელმძღვანელობს, მთელ დღეს არ წყდება ბაზა-დანადგარების ხმაური. შემდუღებლები გ. ფილიპეი, ვ. გულიეი, ტრაქტორისტები ვ. ფოკლაური, შ. ძელური ტრაქტორს საგულდაგულოდ არემონტებენ. გასული წლის მეოთხე კვარტალში ტრაქტორების რემონტის გეგმა აქ სასახელოდ შეასრულეს. შეკეთებულ ტექნიკაზე სამდურავი არავის გამოუთქვამს. მექანიზატორი მ. ყარყარაშვილი მანქანას ისე ამუშავებს, რომ ხვნის ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს.

ვარკეთილელ მუშებს არც მიწის განოყიერება დავიწყებიათ. ხოსო, ვასილ, ალეკსანდრე გოგიაშვილებმა, შ. თვაურავა გუშინ ნიადაგში ორგანული სასუქის შეტანის დავალება ასორმოცდაათ-ასორმოცდაათი პროცენტით შეასრულეს.

მხვნელ-მთესველებთან ერთად ბეჯითად მუშაობენ მევენახეებიც, მებაღეები. აკონომეების დ. ნუნუბიძის, ა. ქვეკლიაშვილის, ლ. თარგამაძის, ვ. აჯოვენაძის, ო. პეროანიძის ენერგიული მუშაობით ვენახს 120 ჰექტარი შეემატა. აქ გაშენდა რქაწითელი, ბუღალური და საადრეო ჯიშის ვაზი. ამასთან ერთად როგორც სასიმინდე, ისე ხეხილისა და ვენახის ფაროობებში სასუქები შეაქვთ. მექანიზატორები შრომის აკანგარდში არიან.

მეურნეობის მთელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა შეკეთებოთ ვადაზე ერთი თვით ადრე — ასეთი დეკემბერი მუშამბენ ახლა ვარკეთილი მექანიზატორები.

დიდი გამოცოცხლებაა ნორიოს საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ე. დანელია) სარემონტო სახელოსნოში. მჭიდელები, ტრაქტორისტები ძალღონის დაუზოგავად მუშაობენ იმისათვის, რომ მაღალხარისხოვნად შეასრულონ ტრაქტორების, სათესი მანქანების, კულტივატორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი.

მექანიზატორებს ნ. აბრამიშვილს, ს. ცოფურაშვილს, მ. ფლუიძეს და სხვებს გადაწყვეტილი აქვთ სიმინდი ძირითადად დათესონ კვადრატულ-ბუდიანურად და ხელის შრომის გამოუყენებლად საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 70 ცენტნერი.

შ. ბოგუა.

ასე ემზადებიან

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი ძირითადი რეზერვია მაღალხარისხოვანი თესლი. ეს კარგად ესმით გურჯაანელ მხვნელ-მთესველებს და ამიტომ არის, რომ ყველა სახის თესლის მომარაგების გეგმა უკვე 104 პროცენტით შეასრულეს.

სათესლე მასალის მომზადებისა და სათანადო კონდიციამდე აყვანისათვის ბეჯითად მუშაობენ საჩხერის რაიონის მხვნელ-მთესველები. გამზადებული და შენახული აქვთ საგაზაფხულო კულტურების თესლი. სასახელოდ მუშაობენ გეგეჭკორის რაიონის მშრომელებიც.

„სოფლტექნიკის“ როგორც გურჯაანისა და საჩხერის, ისე გეგეჭკორის რაიონულმა განყოფილებებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ტრაქტორების რემონტის გასული წლის მეოთხეკვარტალის გეგმა, ახლა სარემონტო სახელოსნოებში არემონტებენ სათეს მანქანებს, კულტივატორებს, ტრაქტორებს.

შეჯიბრება გაჩაღდა

ხაშურის რაიონის მექანიზატორები, კოლმეურნეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ შვიდწლედის მემეოდე წლის საგაზაფხულო თესვას ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ. ხაშურელ მექანიზატორებს გასული წლის მეოთხე კვარტალში 29 ტრაქტორი უნდა შეეკეთებინათ. შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად დავალება დიდი გადაჭარბებით — 155,2 პროცენტით გაანალდეს. სარემონტო სახელოსნოებში კვლავ ცხარე დღეებია. წესრიგში მოყვანეთ ტრაქტორები, სათესი მანქანები, გუთნები, კულტივატორები.

დარბაზობა ვარშავაში

ვარშავა, 20 იანვარი. (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება:

19 იანვარს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედვარდ ოხაბმა გამართა დარბაზობა ვარშავის ხელმძღვანელების მონაწილეობით სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომის მონაწილეთ დელეგაციათა პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ წევრები: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციისა ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციისა იანოშ კადარის მეთაურობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციისა ვალტერ ულბრიხტის და ვილი შტოფის მეთაურობით, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციისა გეორგე გეორგიუ-დეჟის და იონ გეორგე მაურერის მეთაურობით, საბჭოთა კავშირის დელეგაციისა ლ. ი. ბრეჟნევის და ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციისა ანტონინ ნოვოტნის და იოზეფ ლენარტის მეთაურობით.

პოლონეთის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის წევრები ვლადისლავ გომულკასა და იუზეფ ცირანკევიჩის მეთაურობით.

დარბაზობაზე ედვარდ ოხაბმა წარმოთქვა სადღეგრძელო სხდომის ნაყოფიერი შედეგებისათვის, სოციალისტური ქვეყნების შემდგომი წარმატებებისა და აყვავებისათვის, ამ ქვეყნების ერთობისა და მტკიცე ურთიერთობისათვის.

ნათელი, დაუვიწყარი დღეები

მინსკი, 18 იანვარი. (საკდესის კორ.). აღტერდა რუსული ხელოვნების დეკადის დასკვნითი აკორდი ბელორუსიაში. ეს იყო ორი მოძმე ხალხის კულტურების შესანიშნავი ღღესასწაული. თვალსაჩინო კომპოზიტორების, მსახიობების, მუსიკოსების, შემოქმედებითი კოლექტივების შეხვედრები და გამოსვლები უცვლელი წარმატებით მიმდინარეობდა.

რესპუბლიკაში ნახევარ მილიონამდე კაცი შეხვდა რუსული ხელოვნების სახელგანთქმულ ოსტატებს.

ბელორუსიაში ყოფნისას, — თქვა რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ბ. გაბრიდოვმა, — მეც და ბევრმა ჩემმა ამხანაგმა, სულითა და გულით ვეგრძენით მონსკელთა გულითადობა. მე პირველად ვხვდები მათ, მაგრამ მიუხედავად ამისა ბევრი მეგობარი მყავს. დეკადის დღეებში კი გავეცანი ბევრ კომპოზიტორს, მოვისმინე მათი ახალი ნაწარმოებები.

რუსული ხელოვნების დეკადამ ბელორუსიაში, თქვა ბელორუსიის სსრ სახალხო არტისტმა ს. ტოლკაჩევმა, ყველა გაგვახარა. მოვისმინეთ კონცერტები, ვნახეთ სპექტაკლები, რომლებშიც მონაწილეობდნენ გამორჩენილი რუსი კომპოზიტორები, ცნობილი მომღერლები და სცენის ოსტატები, შემოქმედებითი კოლექტივები.

დღეს გეიმართა ბელორუსიაში რუსული ხელოვნების დეკადის დასკვნითი კონცერტი. კონცერტში დიდი წარმატებით გამოვიდნენ რუსეთის სფსრ და ბელორუსიის სსრ ხელოვნების ოსტატები და შემოქმედებითი კოლექტივები.

სომალიში მგზავროგის შესახებ

19 იანვარს სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიით გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი თ. ა. ტაბაევი. მან უამბო ტელემაყურებლებს, საბჭოთა პარლამენტის დელეგაციის მოგზაურობის შესახებ სომალის რესპუბლიკაში.

დელეგაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოს მოსახლეობა ძალიან გულთბილად ეგებებოდა საბჭოთა პარლამენტარებს. მან თქვა, რომ სომალიში დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს საბჭოთა კავშირის და განსაკუთრებით მოკავშირე რესპუბლიკების წარმატებებს, რომლებმაც შედარებით მოკლე ისტორიულ ეადაში მოიპოვეს დიდი წარმატებანი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა განმტკიცდება და განვითარდება.

(საკდესი).

გაზის მაგისტრალი ყირიმში

ჩერნომორსკოე (ყირიმის ოლქი), 19 იანვარი. (საკდესის კორ.). **დაამტკიცეს გლეგოვკა-სიმფეროპოლის გაზის მაგისტრალის მშენებლობის პროექტი. მაგისტრალს სათავე ექნება ტარხანკუტის ნახევარკუნძულზე, სადაც აღმოჩენილია გაზის დიდი მარაგი. გაზსადენს მიიყვანენ ევპატორიისა და საკის კურორტებში.**

ყირიმის ბუნებრივი გაზის პირველი მომხმარებელი გახდება საკის ქიმიური ქარხანა და თბოელექტროცენტრალი. მეორე რიგში გაზს მიიღებს სიმფეროპოლი. აქედან მაგისტრალის ერთი ტოტი წავა სევასტოპოლისაკენ, მეორე — ყირიმის სამხრეთ სანაპიროსაკენ დიდი იალტის ჯანმრთელობის კერების გაზიფიკაციისათვის.

დასახულია, რომ მაგისტრალის პირველი რიგი მწყობრში ჩააყენონ წელს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

პეკინი, 20 იანვარი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს ამერიკის იმპერიალიზმის პირდაპირი აგრესიის აქტებს ლაოსის წინააღმდეგ. განცხადებაში, რომელიც გადასცა სინხუას საგენტომ, აღნიშნულია:

13 იანვარს ამერიკის 24 რეაქტიული ავიაგამანადგურებელი — ბომბდამშენი ფ-100 და ფ-105, შეიჭრა ლაოსის განთავისუფლებულ სიენგ-კუანგის რაიონში, საშინლად დაბომბა მან-ბანის რაიონი. ამით ამერიკის მთავრობამ აშკარად და თავხედურად დაარღვია ჟენევის შეთანხმებანი და გაიფართოვა პირდაპირი შეიარაღებული აგრესია ლაოსის წინააღმდეგ. ლაოსის საშინაო საქმეებში შეიარაღებული ჩარევით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩაფუშეს ლაოსის სამმხრივი მოლაპარაკება და ყველა ღონისძიებით ხელი შეუშალეს 14 ქვეყნის თათბირის მოწვევას. ამ ბოლო დროს ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობს განამტკიცოს თავისი მოქმედება აგრესიულ ომში სამხრეთ ვიეტნამის წინააღმდეგ და აქეზებს ლაოსის მემარჯვენე დაჯგუფებს, რომ სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტულ ხროვასთან ერთად დაიწყოს დიდი ერთობლივი შეტევა ლაოსის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში. ყველაფერი ეს მეტყველებს, რომ ამერიკის იმპერიალიზმი აჩქარებს ინდოჩინეთში ომის ხანძრის გაფართოების ახალი ავანტიურისტული გეგმის განხორციელებას.

ჩინეთის მთავრობა და ჩინელი ხალხი, ნათქვამია განცხადებაში, გადაჭრით გმობენ ამერიკის იმპერიალიზმის მიერ ჟენევის შეთანხმებათა თვითნებურ დარღვევას და ლაოსის წინააღმდეგ მისი პირდაპირი აგრესიის გაფართოებას, მტკიცედ უჭერენ მხარს ლაოსელ ხალხს მის სამართლიან პატრიოტულ ბრძოლაში, ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ჯონ ბული საბერველს ბერავს... კარიკატურა გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდიდან“ (გდრ).

რაკეტებზე უარი უთხრეს

ლონდონი, 20 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ტაიმსის“ სამხედრო კორესპონდენტი იუწყება, იბგლისის მთავრობამ უარი განაცხადა ნებართვა მიეცა, რომ სამხრეთ აფრიკისათვის მიეწოდებინათ „დედამიწა-ჰაერის“ კლასის „ბლადჰაუნდის“ რაკეტები.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ სამხრეთ აფრიკის მთავრობამ ჯერ კიდევ გასული წლის იელისში შეუკვეთა ამ კლასის რაკეტები კომპანია „ფერანტისა“ და კორპორაცია „ბრიტიშ ეიროკოფტს“ და გადაუხადა მათ 20 მილიონ გირვანქაზე მეტი. როგორც კორესპონდენტი წერს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ „ბლადჰაუნდის“ რაკეტების მიწოდებას ხელს ვერ შეუშლის ვერავითარი ალერძალა. ბრიტანეთი აფრიკის რესპუბლიკას.

მკვლელი დაპატიმრებულია

პარიზი. 20 იანვარი. (საკდესი). ბურუნდის დედაქალაქ ბუჟუმბურაში დაპატიმრეს ბურუნდის პრემიერ-მინისტრის პიერ ნგენდანდუმვეს მკვლელი. ამას იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბუჟუმბურიდან, რომელიც იმოწმებს სარწმუნო წყაროებს. დაპატიმრებული, ეროვნებით რუანდიელი, ამერიკის საელჩოს მოსამსახურეა. პრემიერ-მინისტრის მკვლელობასთან დაკავშირებით ბურუნდიში დაპატიმრებულია 20-ზე მეტი კაცი.



დიდი სიცოცხლე



არ არის ლიტერატურისა და ხელოვნების ისეთი დარგი, რომელშიც არ ასახულიყო მშრომელთა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ცხოვრება, ბრძოლა, მოღვაწეობა. ამ გენიალური ადამიანის სახე მრავალი შემოქმედის შთაგონების წყაროა. ლენინის დაუვიწყარი პიროვნება ადამიანებს აღაფრთოვანებს ხელოვნების მშვენიერი და გამომსახველი ნაწარმოების შესაქმნელად.

ამ მხრივ საინტერესოა ახალი ქართული დოკუმენტური ფილმი **„ვ. ი. ლენინის სახე ქართულ სახვითს ხელოვნებაში“.**

სცენარის ავტორია ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი მ. თოფფერია, რეჟისორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. ჭიაურელი, ოპერატორი — შ. შიოშვილი.

ფილმი საინტერესოდ მოგვითხრობს საქართველოში — მცხეთის მახლობლად — ვ. ი. ლენინის პირველი მონუმენტური ძეგლის გახსნის ისტორიას.

საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში ეს იყო ღირსსახსოვარი თარიღი — 1927 წლის 26 ივნისი. ამ დღეს ზაპესში ათასობით თბილისელი ჩავიდა. აქ ახალ ჰიდროელექტროსადგურის მწყობრში ჩადგომასთან ერთად გაიხსნა ვ. ი. ლენინის გრანდიოზული ძეგლი.

ბრინჯაოს ეს შესანიშნავი ძეგლი ჩამოსხმულია ლენინგრადში. მისი ავტორია გამოჩენილი საბჭოთა მოქანდაკე ივანე შადრი, რომელმაც ლენინის სახის შექმნაზე 1924 წლიდან დაიწყო მუშაობა, შეასრულა ბელადის რამდენიმე ულელტურული პორტრეტი და ქანდაკება.

ზემო აჯანის ელექტროსადგურის ამუშავების შემდეგ 29 წელიწადი გავიდა და თბილისში 1956 წლის 21 აპრილს გაიმართა მიტინგი, რომელიც ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნას მიეძღვნა. ძეგლი ბრინჯაოსაგან ჩამოასხეს ლენინგრადის ქარხანა „მონუმენტსკულპტურაში“. შვიდნახევარი მეტრი სიმაღლის ქანდაკება, რომელიც დადგმულია გრანიტის ოერთმეტნახევარი მეტრი სიმაღლის კვარცხლბეკზე, გადმოგვცემს დიდი ბელადის სიდიადეს, დაუცხრომელ ენერგიასა და შეუდრეკელ ხებას.

მონუმენტის პროექტის ავტორია საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი ვ. თოფფერიძე.

ფილმში კარგად არის ნაჩვენები ქართული ქანდაკების ფუძემდებლის ი. ნიკოლაძის მიერ შექმნილი სკულპტურა „ვ. ი. ლენინი „ისკრის“ პერიოდში“. ავტორის შინაგანი ცეცხლით გამთბარი და დიდი სისადავის ეს ნაწარმოება ჰეშმარიტი ხელოვნების ქმნილებაა.

გულის შინაგანი ძალა გადაფენია სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის ოსტატური ფუნჯით მოხატულ ხავერდოვან ფერწერულ ტილოს, რომელზეც ჩაფიქრებული ლენინის შთამბეჭდავი სახეა გამოსახული.

შემდეგ კადრებში ითხრობილია ქუთაისში, ჭიათურაში, მახარაძეში, რუსთავსა და საქართველოს სხვა ქალაქებში აღმართულ ლენინის ქანდაკებათა შექმნის ისტორია, ქართველი ხალხის უსაზღვრო ერთგულება დიდი ბელადის საქმისადმი.

ჭიათურასა და მახარაძეში აღმართული საქართველოს სახალხო მხატვრის, პროფესორ შ. მიქატაძის საკრედიტოთ გამოკვეთილი ჯეშარიტად მონუმენტური ქანდაკება ბელადისა. მის მხატვრულ ღირსებაზე ისიც მეტყველებს, — ნათქვამია ფილმში, — რომ ვ. ი. ლენინის ამ ძეგლის ვარიანტი საქართველოს ფარგლებს გარეთაც — ვიბორგში დადგეს.

აი ეკრანზე ცოცხლდება სამაისო ქუთაისი. მაყურებელი ხედავს ლენინის ძეგლს, რომლის ავტორია საქართველოს სახალხო მხატვარი პროფესორი კ. მერაბიშვილი. შემდეგ კადრებ გადაეყრიათ რუსთავში, სადაც აღმართულია ვ. თოფფერიძის „ვ. ი. ლენინი“. იგი საბჭოთა ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებად არის აღიარებული.

მაყურებელში დიდ ინტერესს იწვევს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს უხუცესი მხატვრის ი. ვეფხვაძის „ლენინი ოქტომბერში“, ა. ბაქბეუკ-მელიქოვის „ლენინი ისკრის პერიოდში“, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის რ. სტურუას „საქართველოს დღესასწაული“, ვ. ტოროტაძის „ს. ორჯონიკიძე ლენინს უგზავნის დეპეშას — საქართველოში ფრიალებს ლენინის დროშა“, კ. კეკნაძის „ლენინი კითხულობს ს. ორჯონიკიძის მიერ გაგზავნილ დეპეშას“, ს. კირკოროვის „ფ. ბახარაძე ლენინთან კრემლში“, შ. ჭიაურელის „ლენინის მონუმენტი“, გ. ველოვანის „ლენინი რაზლივში“ და „ლენინი და კრუპსკაია“, დ. ქუთათელაძის „ლენინი და ს. ორჯონიკიძე რაზლივში“.

ქართველ ვინოხელოვანთა ამ ნაწარმოებებში ჩაქსოვილია ქართველი ხალხის დიდი სიყვარული ვ. ი. ლენინისადმი.

ასეთი ფილმის შექმნა უსათუოდ მისასალმებელია. კინოსურათი „ვ. ი. ლენინის სახე ქართულ სახვითს ხელოვნებაში“ საბჭოთა ქრონიკალურ-დოკუმენტურ ფილმებს შორის ერთ-ერთ საპატიო ადგილს დაიკავებს.

ს. ნაციაშვილი.

სურათზე: ვ. ი. ლენინი 1903 წელს.
მოქანდაკე ი. ნიკოლაძე.

ლენინის პარტიული ბილეთი

ახალგაზრდა კომუნისტების დასასწავლებლად

დიდი ლენინის შექმნილმა კომუნისტურმა პარტიამ გმირული ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა განვლო. საბჭოთა ხალხს იგი სამართლიანად მიაჩნია ჩვენი საზოგადოების მაორგანიზებელ და წარმმართველ ძალად, მამაცობის, გამბედაობის, გმირობისა და შთაგონების დაუშრეტელ წყაროდ.

სწორედ ამიტომ არის, რომ კომუნისტური პარტიის წევრობა უდიდესი პატივისა და ღირსების საქმეა. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი პატივი, ვიდრე გულთან ერთად ატარებდე კომუნისტის წითელ წიგნაკს, რომელშიც კომუნისტის ოვით სულია, მისი პატიოსნება და სინდისია.

სწორედ ამიტომ იყო, რომ პარტიის შექმნის ჯერ კიდევ პირველ პეროიდში ლენინი აღნშნავდა: ჩვენ უნდა ვეცადოთ სულ უფრო და უფრო ავამაღლოთ პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა.

ჩვეულებრივად კითხულობენ, განსაკუთრებით ახალგაზრდა კომუნისტები: **არ ყოფილა ადამიანი, რომელიც ჩვენს პარტიაში შევიდა ვლადიმერ ილიას-ძეზე ადრე. — ლენინი იყო მისი დამაარსებელი, მისი ბელადი, — რით ავხსნათ ის, რომ მას ჰქონდა პარტიული ბილეთი № 600 ან № 527? ან აინტერესებთ, როგორ ყოფილა ვლადიმერ ილიას-ძე პარტიის რიგებში?**

1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე, როცა ჩვენი პარტია იატაკქვეშეთში იმყოფებოდა, პარტიის საწევრო ბილეთები, როგორც წესი, არ არსებობდა. მცირეოცდაათი პარტიული ორგანიზაციები და მათი კომიტეტები კარგად იცნობდნენ თვითეულ ბოლშევიკს. ამიტომ პარტიისადმი კუთვნილების დამადასტურებელი სპეციალური დოკუმენტის საჭიროება არ არსებობდა. უფრო მეტიც, ასეთ დოკუმენტს მკაცრი კონსპირაციის პირობებში შეიძლებოდა ხაშიში შედეგები მოჰყოლოდა.

პარტიის წევრებს, როცა ერთი ორგანიზაციიდან მეორეში გადადიოდნენ, ზეპირად ეთქვა უნდა სცოდნოდათ გამოცხადების ადგილები, პაროლები, მისამართები, ემოქმედათ განსაკუთრებული სიზუსტით და სიფრთხილით. უმცირეს დაუდევრობასაც კი შეიძლებოდა ორგანიზაციის ჩავარდნა -და პარტიის წევრების დაპატიმრება მოჰყოლოდა. ამიტომ პარტიულობის დამამტკიცებელი დოკუმენტი გაიცემოდა მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევებში. რუსეთის პირველი რევოლუციის დროს (1905-1907 წ. წ.) პარტიის პეტერბურგის, კრასნოიარსკისა და სხვა კომიტეტებმა დაიწყეს თავიანთი წევრებისათვის პარტიული ბილეთების მიცემა, მაგრამ მალე რეაქციის მძიმე წლებმა — მკაცრმა დევნამ, დაპატიმრებამ, ციხემ, გადასახლებამ, ემიგრაციამ ისინი აიძულა უარი ეთქვათ ამ ღონისძიებაზე.

მეფის ოვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, როცა ბოლშევიკური პარტია იატაკქვეშეთიდან გამოვიდა და მისმა რიგებმა ზრდა იწყეს, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა წიგნაკის ნიმუში და დაგზავნა ადგილობრივ ორგანიზაციებში.

1917 წლის 3 (16) აპრილს ღამით ვ. ი. ლენინი პეტროგრადში ჩამოვიდა. მასთან ერთად დაბრუნდა რუს პოლიტიკური ემიგრანტთა ჯგუფი — ლენინის უახლოესი მეგობრები და თანამებრძოლები. ნამდვილი დღესასწაულის სახე ჰქონდა მშრომელთა შეხვედრას ბელადთან ფინეთის ვაგზალზე. აი იგი ავიდა ჯავშნოსანი ავტომობილის ბაქანზე, რომელმაც იმ დაუვიწყარ დღეს მას ტრიბუნის სამსახური გაუწია. და წარმოთქვა თავისი ცნობილი ისტორიული სიტყვა, რომლითაც მასებს მოუწოდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლისაკენ. „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“ — ასე დაამთავრა ლენინმა თავისი სიტყვა.

ამის შემდეგ მხურვალე ტაშის გრიალში და „ვაშას“ დაუსრულებელ შეძახილებში პარტიის ვიბორგის რაიკომის მდივანმა პროფესიონალმა რევოლუციონერმა ივანე დიმატრის-ძე ჩუგურინმა ვლადიმერ ილიას-ძეს გადასცა ვიბორგის მხარის ბოლშევიკური ორგანიზაციის პარტიული ბილეთი № 600. ბილეთების ნომრების რიგი მაშინ პარტიის თვითეულ რაიკომს თავისი ჰქონდა. პეტროგრადის პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული ბილეთების გაცემა დაიწყო 1917 წლის მარტში. იატაკქვეშეთიდან გამოსვლის შემდეგ ვიბორგის მხარის რაიკომმა უკვე მოასწრო გაეცა 995 პარტიული ბილეთი. რაიკომის ერთ-ერთ წევრს დაებადა აზრი, მალე პეტროგრადში ჩამოვა ლენინი და ამიტომ პარტიული ბილეთი № 600 ბელადს შევუნახოთო.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როცა პარტიის წინაშე დასახა სრულიად ახალი ამოცანები თავისი წევრების გამოყენების საქმეში, პარტიული ბილეთებისა და კომუნისტების აღრიცხვის არსებული ფორმები აღარ შეესაბამებოდა შეცვლილ მოთხოვნებს. პარტიის საგუბერნიო კომიტეტებმა დაიწყეს პარტიული ბილეთების საკუთარი ფორმების შემოღება. ზოგ მათგანში მთლიანად მოთავსებული იყო პარტიის წესდება, ზოგში — ამონაწერები წესდებიდან, ზოგში კი მხოლოდ სამახსოვროები.

პარტიის თვითეულ საგუბერნიო კომიტეტში შემოიღეს პარტიული ბილეთების დამოუკიდებელი ნუმერაცია. კომუნისტების აღრიცხვა ასეთი წესის პირობებში ძლიერ გაძნელებული იყო. ასე გაგრძელდა ორ წელიწადზე მეტ ხანს. 1920 წლის ივნისრში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა პარტიული ბილეთის ერთიანი ფორმა და გადაწყვიტა ახალი პარტიული ბილეთების გაცემასთან ერთდროულად მოეხდინა პარტიის ყველა წევრის ხელახალი რეგისტრაცია.

ვინც მოსკოვში ვ. ი. ლენინის მუზეუმში ან მის ფილიალებში ყოფილა, აუცილებლად მიაქცევდა ყურადღებას ვლადიმერ ილიას-ძის პარტიული ბილეთის (№ 527) ფოტოპირს. ძველი კომუნისტი ა. პიროგოვი, რომელიც თავის დროზე სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პარტუჯრედის მდივნად მუშაობდა, მოგვითხრობს, რომ 1920 წლის დასაწყისში კრემლის ჭვრეტაონოლმა პარტიულმა კომიტეტმა მას მეტად პასუხსაგები დავალება მისცა: შეეგზავნა ახალი პარტიული ბილეთების ბლანკები, მათ შორის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პარტიული ბილეთის ბლანკიც.

ლენინის პარტბილეთს პიროგოვი ავსებდა კრემლის რაიკომში მყოფი სხვა კომუნისტების თანდასწრებით. ეს უფრო ავალდებულებდა მას თვითეული ასო უკიდურესი მკფიობით გამოეყვანა. და აი ლენინის სახელზე პარტიული ბილეთის ბლანკი შევსებულია. დარჩა მხოლოდ ნომრის დასმა. რომელი ჩაწერონ?

რადგან პიროგოვმა ვლადიმერ ილიას-ძის პარტიული ბილეთის ბლანკი პირველი შეავსო, მას არ ჰქონდა ექვი, თუ რა ნომერი უნდა დაესვა. — პირველი ნომრის გარდა სხვა ნომერი რა უნდა ჩაწერეს ამის პარტიულ ბილეთში, ვინც პარტიის აკვანი დაარწია, — მხარი დაუჭირა პიროგოვს რამდენიმე ამხანაგმა. მაგრამ აქვე გაისმა სხვების ხმა, რომლებმაც იცოდნენ, თუ რა თავმდაბალი იყო ლენინი ყოველივე იმაში, რაც მის პიროვნებას შეეხებოდა. აოა, საერთო წესის დარღვევა მხოლოდ გაანაწყენებს ლენინს. ამტკიცებდნენ შეორენი.

„მე დავუჯერე და ჩავწერე ის რიგითი ნომერი, რომელიც უნდა გაეკეთებულიყო სიის მიხედვით. ეს იყო 527“,— აღნიშნავს პიროგოვი.

1920 წლის სექტემბრამდე თვითეული ადგილობრივი ორგანიზაცია კომუნისტებს აძლევდა მის მიერვე დადგენილი ფორმისა და ნიმუშის ბილეთებს. შემთხვევა იყო, როცა ერთმანეთს არ ჰგავდა დიდი ქალაქის სხვადასხვა რაიონში მიღებული პარტიული ბილეთები, ხოლო სამხედრო ნაწილებს თავიანთი ნიმუშის პარტიული ბილეთები ჰქონდათ.

1920 წლის მეორე ნახევრიდან პარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებით შემოღებული იქნა ერთიანი ნიმუშის ახალი პარტიული ბილეთი.

1920 წლის 17 სექტემბერს, ერთიანი პარტიული ბილეთის მიღებასთან დაკავშირებით, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა შეავსო ანკეტა რკ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის წევრთა ხელახალი რეგისტრაციისათვის, სადაც არის ასეთი კითხვები და პასუხები:

კითხვა: **რაში გამოიხატება თქვენი ეროვნეოლეობა ოქტომბრის რევოლუციაში?**

დან ხართ პარტიის წევრი? იგი ყოველთვის უპასუხებდა: 1898-დან და პარტიის დაარსებიდან 1898 წლიდან.

პარტიული საწევრო შესატანების თავის დროზე გადახდა პარტიის ჩესდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, პარტიასთან კომუნისტების ორგანიზაციული კავშირის მკაფიო გამოხატულებაა. იმ კომუნისტებს, რომლებიც დროზე არ იხდიან საწევრო შესატანებს, და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, რომლებიც არავითარ აღმზრდელობითს ზომებს არ იღებენ მათ მიმართ, საჭიროა მოვაგონოთ ასეთი ფაქტი ბელადის ცხოვრებიდან.

პარტიული საწევრო შესატანები ბელადს ყოველთვის ახსოდა, საქმეებით უაღრესად გადატვირთულს. 1917 წელს ქ. ციურიხში პოლიტემიგრანტებთან გამოსათხოვარი შეხვედრის შემდეგ რესტორან „ციურინგერ პროფ-ში“, უშუალოდ გამგზავრების წინ, რეინიგზის ბაქანზე. როგორც იგონებს სკკპ წევრი 1905 წლიდან, ბოლშევიკების ციურიხის სექციის ხაზინადარი რ. ხარიტონოვა, ლენინი მივიდა ამ უკანასკნელთან და გადასცა შიმნახველი სალაროს თავისი წიგნაკი შენატანებიდან ხუთი ფრანკის ნარჩენით.

აი, ამბანაგო ხარიტონოვა, — მიმართა მან, — თუ შეიძლება აპრილის საწევრო შესატანის სახით აიღეთ ეს წიგნაკი. მომიტევეთ, რომ ამ დავალებით გაწუხებთ, სამწუხაროდ, თვითონ ვერ მოვასწარი ჩაბარება.

მე. — ამბობს ხარიტონოვა, — ამ ამბავმა ძლიერ განმაცვიფრა. არავის, ვინც კი ლენინთან ერთად მიემგზავრებოდა, არ გახსენებია აპრილის საწევრო შესატანის გადახდა და თვითონ მე, როგორც ციურიხის ორგანიზაციის ხაზინადარმა, არ ჩავთვალე საჭიროდ შეგახსენებინა მათთვის ეს, რადგან ვფიქრობდი, რომ ისინი აპრილშივე იქნებოდნენ სამშობლოში, პეტროგრადში.

როცა ლენინი გამოემგზავრა, ხარიტონოვამ გადაშალა შემნახველი სალაროს წიგნაკი. მასში აღნიშნული იყო 5 ფრანკი. არა, მას არ შეეძლო მისი ჩაბარება ბანკში. ხარიტონოვამ შეინახა. რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ, როცა ლენინი უკვე პეტროგრადში იყო, მან უჩვენა ბანკის მუშაკებს, თუ რა ფასი აქვს მოსყიდული პრესის მტაცებას იმის შესახებ, თითქოს ლენინი მილიონერია და გერმანიის იმპერიალიზმის სამსახურში იმყოფება.

დიდი ლენინის სახელი მოგვიწოდებს მაღლა გვეპიროს და წმიდად ვიცავდეთ კომუნისტური პარტიის წევრის საპატიო სახელს, თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდეთ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს ლენინური პარტიისადმი კუთვნილებას.

ფ. მახარაძე.

ცენტრალური კომიტეტის წევრი — გასაოცარი თავმდაბლობით უპასუხა პარტიის დამაარსებელმა და რევოლუციის სულისჩამდგმელმა.

ანკეტა საკმაოდ ვრცელი იყო. მარტო ძირითადი კითხვები 45, მაგრამ ლენინს აქაც, როგორც ყოველთვის, არ გაუკეთებია თავისი თავისათვის გამონაკლისი და ყველა კითხვაზე გასცა ლაკონიური, ამასთან ამომწურავი პასუხი.

რა თემებზე გიხდებოდა გამოსვლა მუშებისა და გლეხების წინაშე ან ლექციების კითხვა?

მეტწილად პოლიტიკურზე, — უპასუხებს ლენინი.

წერთ თუ არა სტატიებს გაზეთებში, სად და რა თემებზე?

იშვიათად პოლიტიკურ თემებზე, — ვკითხულობთ ლენინის პასუხში.

ანკეტაში იყო კითხვა, რომელიც მოითხოვდა პირდაპირ პასუხს: „რა დოკუმენტები და მოწმობები გაქვთ, რომლებიც ცხადყოფენ თქვენს ყოფნას ჩვენს არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციაში?“

„პარტიის ისტორია დოკუმენტია“, — უპასუხა ლენინმა, რომელსაც ჰქონდა ყველა საფუძველი მიეკვლია თავისი პარტიული ბიოგრაფიის საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებზე.

კიდევ ერთი კითხვა: გარდა რუსულისა, რა ენებზე „დაპარაკობთ, კითხულობთ, წერთ?

„ფრანგულზე, გერმანულზე, ინგლისურზე. ცუდად ამბივნეზე“. — გვაუწყებს ვლადიმერ ილიას-ძის პასუხი. ნინამდვილეში კი ეს ასე როდი იყო. ცნობილია, რომ 1911 წლის 29 ნოემბერს, პარიზში პერლაშეზია სასაფლაოზე პოლ და ლარა ლაფარგების დაკრძალვაზე ლენინი რსდმპ სახელით გამოვიდა და სიტყვა წარმოთქვა ფრანგულ ენაზე, ხოლო კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესზე ლენინმა მოხსენება გერმანულ ენაზე გააკეთა. მან საუკეთესოდ იცოდა არა მარტო აღნიშნული ენები, არამედ თავისუფლად ფლობდა აგრეთვე პოლონურ, ზვედურ, ლატვიურ, ბერძნულ ენებს.

ანკეტა შეივსო. ვლადიმერ ილიას-ძე მივიდა პარტიის ზამოსკვორეჩიეს რაიკომში და იქ მიიღო თავისი ერთიანი ნიმუშის პარტიული ბილეთი.

ერთიანი ნიმუშის პირველ პარტბილეთში 33 გვერდი იყო. მასში ყოველთვიურად კეთდებოდა აღნიშნვა კომუნისტის მუშაობის, საზოგადოებრივი საქმიანობის, პარტიულ დავალებათა შესრულების შესახებ. პარტიის წმენდის შემდეგ, რაც 1921 წელს მოეწყო, შემოღებულ იქნა ახალი — 1922 წლის ნიმუშის პარტბილეთი. ბელადს მიუღია აგრეთვე პარტიული ბილეთი № 224332, № 114482.

1927 წელს მოხდა პარტიული აღწერა და პარტიული დოკუმენტების გამოცვლა. პარტიული ბილეთის ფორმა დარჩა ძველი, მაგრამ კომუნისტების პირადი საქმეების ნაცვლად შემოღებულ იქნა ერთიანი საღრიცხვო ბარათი.

პარტიული ბილეთი № 1 შეავსო მოსკოვის ზამოსკვორეჩიეს რაიკომმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელზე, რადგან პარტიულ აღრიცხვაზე ბელადი ამ ორგანიზაციაში იყო თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე.

ეს ნომერი მუდმივად განკუთვნილია კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და ბელადის პარტიული ბილეთისათვის. ხოლო 1930 წელს, ჩვენი პარტიის XVI ყრილობაზე ვ. ი. ლენინი არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრად. საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის № 1 ბილეთი ინახება ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში.

საინტერესოა, როგორ უპასუხებდა ვლადიმერ ილიას-ძე პარტიული ყრილობებისა და კონფერენციების დელეგატების ანკეტის კითხვაზე: **რომელი წლიდან ხართ პარტიის წევრი?** იგი ყოველთვის უპასუხებდა: 1898-დან და პარტიის დაარსებიდან 1898 წლიდან.

პარტიული საწევრო შესატანების თავის დროზე გადახდა პარტიის ჩესდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, პარტიასთან კომუნისტების ორგანიზაციული კავშირის მკაფიო გამოხატულებაა. იმ კომუნისტებს, რომლებიც დროზე არ იხდიან საწევრო შესატანებს, და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, რომლებიც არავითარ აღმზრდელობითს ზომებს არ იღებენ მათ მიმართ, საჭიროა მოვაგონოთ ასეთი ფაქტი ბელადის ცხოვრებიდან.

პარტიული საწევრო შესატანები ბელადს ყოველთვის ახსოდა, საქმეებით უაღრესად გადატვირთულს. 1917 წელს ქ. ციურიხში პოლიტემიგრანტებთან გამოსათხოვარი შეხვედრის შემდეგ რესტორან „ციურინგერ პროფ-ში“, უშუალოდ გამგზავრების წინ, რეინიგზის ბაქანზე. როგორც იგონებს სკკპ წევრი 1905 წლიდან, ბოლშევიკების ციურიხის სექციის ხაზინადარი რ. ხარიტონოვა, ლენინი მივიდა ამ უკანასკნელთან და გადასცა შიმნახველი სალაროს თავისი წიგნაკი შენატანებიდან ხუთი ფრანკის ნარჩენით.

აი, ამბანაგო ხარიტონოვა, — მიმართა მან, — თუ შეიძლება აპრილის საწევრო შესატანის სახით აიღეთ ეს წიგნაკი. მომიტევეთ, რომ ამ დავალებით გაწუხებთ, სამწუხაროდ, თვითონ ვერ მოვასწარი ჩაბარება.

მე. — ამბობს ხარიტონოვა, — ამ ამბავმა ძლიერ განმაცვიფრა. არავის, ვინც კი ლენინთან ერთად მიემგზავრებოდა, არ გახსენებია აპრილის საწევრო შესატანის გადახდა და თვითონ მე, როგორც ციურიხის ორგანიზაციის ხაზინადარმა, არ ჩავთვალე საჭიროდ შეგახსენებინა მათთვის ეს, რადგან ვფიქრობდი, რომ ისინი აპრილშივე იქნებოდნენ სამშობლოში, პეტროგრადში.

როცა ლენინი გამოემგზავრა, ხარიტონოვამ გადაშალა შემნახველი სალაროს წიგნაკი. მასში აღნიშნული იყო 5 ფრანკი. არა, მას არ შეეძლო მისი ჩაბარება ბანკში. ხარიტონოვამ შეინახა. რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ, როცა ლენინი უკვე პეტროგრადში იყო, მან უჩვენა ბანკის მუშაკებს, თუ რა ფასი აქვს მოსყიდული პრესის მტაცებას იმის შესახებ, თითქოს ლენინი მილიონერია და გერმანიის იმპერიალიზმის სამსახურში იმყოფება.

ცენტრალური კომიტეტის წევრი — გასაოცარი თავმდაბლობით უპასუხა პარტიის დამაარსებელმა და რევოლუციის სულისჩამდგმელმა.

ანკეტა საკმაოდ ვრცელი იყო. მარტო ძირითადი კითხვები 45, მაგრამ ლენინს აქაც, როგორც ყოველთვის, არ გაუკეთებია თავისი თავისათვის გამონაკლისი და ყველა კითხვაზე გასცა ლაკონიური, ამასთან ამომწურავი პასუხი.

რა თემებზე გიხდებოდა გამოსვლა მუშებისა და გლეხების წინაშე ან ლექციების კითხვა?

მეტწილად პოლიტიკურზე, — უპასუხებს ლენინი.

წერთ თუ არა სტატიებს გაზეთებში, სად და რა თემებზე?

იშვიათად პოლიტიკურ თემებზე, — ვკითხულობთ ლენინის პასუხში.

ანკეტაში იყო კითხვა, რომელიც მოითხოვდა პირდაპირ პასუხს: „რა დოკუმენტები და მოწმობები გაქვთ, რომლებიც ცხადყოფენ თქვენს ყოფნას ჩვენს არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციაში?“

„პარტიის ისტორია დოკუმენტია“, — უპასუხა ლენინმა, რომელსაც ჰქონდა ყველა საფუძველი მიეკვლია თავისი პარტიული ბიოგრაფიის საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებზე.

კიდევ ერთი კითხვა: გარდა რუსულისა, რა ენებზე „დაპარაკობთ, კითხულობთ, წერთ?

„ფრანგულზე, გერმანულზე, ინგლისურზე. ცუდად ამბივნეზე“. — გვაუწყებს ვლადიმერ ილიას-ძის პასუხი. ნინამდვილეში კი ეს ასე როდი იყო. ცნობილია, რომ 1911 წლის 29 ნოემბერს, პარიზში პერლაშეზია სასაფლაოზე პოლ და ლარა ლაფარგების დაკრძალვაზე ლენინი რსდმპ სახელით გამოვიდა და სიტყვა წარმოთქვა ფრანგულ ენაზე, ხოლო კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესზე ლენინმა მოხსენება გერმანულ ენაზე გააკეთა. მან საუკეთესოდ იცოდა არა მარტო აღნიშნული ენები, არამედ თავისუფლად ფლობდა აგრეთვე პოლონურ, ზვედურ, ლატვიურ, ბერძნულ ენებს.

ანკეტა შეივსო. ვლადიმერ ილიას-ძე მივიდა პარტიის ზამოსკვორეჩიეს რაიკომში და იქ მიიღო თავისი ერთიანი ნიმუშის პარტიული ბილეთი.

ერთიანი ნიმუშის პირველ პარტბილეთში 33 გვერდი იყო. მასში ყოველთვიურად კეთდებოდა აღნიშნვა კომუნისტის მუშაობის, საზოგადოებრივი საქმიანობის, პარტიულ დავალებათა შესრულების შესახებ. პარტიის წმენდის შემდეგ, რაც 1921 წელს მოეწყო, შემოღებულ იქნა ახალი — 1922 წლის ნიმუშის პარტბილეთი. ბელადს მიუღია აგრეთვე პარტიული ბილეთი № 224332, № 114482.

1927 წელს მოხდა პარტიული აღწერა და პარტიული დოკუმენტების გამოცვლა. პარტიული ბილეთის ფორმა დარჩა ძველი, მაგრამ კომუნისტების პირადი საქმეების ნაცვლად შემოღებულ იქნა ერთიანი საღრიცხვო ბარათი.

პარტიული ბილეთი № 1 შეავსო მოსკოვის ზამოსკვორეჩიეს რაიკომმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელზე, რადგან პარტიულ აღრიცხვაზე ბელადი ამ ორგანიზაციაში იყო თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე.

ეს ნომერი მუდმივად განკუთვნილია კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და ბელადის პარტიული ბილეთისათვის. ხოლო 1930 წელს, ჩვენი პარტიის XVI ყრილობაზე ვ. ი. ლენინი არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრად. საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის № 1 ბილეთი ინახება ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში.

საინტერესოა, როგორ უპასუხებდა ვლადიმერ ილიას-ძე პარტიული ყრილობებისა და კონფერენციების დელეგატების ანკეტის კითხვაზე: **რომელი წლიდან ხართ პარტიის წევრი?** იგი ყოველთვის უპასუხებდა: 1898-დან და პარტიის დაარსებიდან 1898 წლიდან.

პარტიული საწევრო შესატანების თავის დროზე გადახდა პარტიის ჩესდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, პარტიასთან კომუნისტების ორგანიზაციული კავშირის მკაფიო გამოხატულებაა. იმ კომუნისტებს, რომლებიც დროზე არ იხდიან საწევრო შესატანებს, და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, რომლებიც არავითარ აღმზრდელობითს ზომებს არ იღებენ მათ მიმართ, საჭიროა მოვაგონოთ ასეთი ფაქტი ბელადის ცხოვრებიდან.

პარტიული საწევრო შესატანები ბელადს ყოველთვის ახსოდა, საქმეებით უაღრესად გადატვირთულს. 1917 წელს ქ. ციურიხში პოლიტემიგრანტებთან გამოსათხოვარი შეხვედრის შემდეგ რესტორან „ციურინგერ პროფ-ში“, უშუალოდ გამგზავრების წინ, რეინიგზის ბაქანზე. როგორც იგონებს სკკპ წევრი 1905 წლიდან, ბოლშევიკების ციურიხის სექციის ხაზინადარი რ. ხარიტონოვა, ლენინი მივიდა ამ უკანასკნელთან და გადასცა შიმნახველი სალაროს თავისი წიგნაკი შენატანებიდან ხუთი ფრანკის ნარჩენით.

აი, ამბანაგო ხარიტონოვა, — მიმართა მან, — თუ შეიძლება აპრილის საწევრო შესატანის სახით აიღეთ ეს წიგნაკი. მომიტევეთ, რომ ამ დავალებით გაწუხებთ, სამწუხაროდ, თვითონ ვერ მოვასწარი ჩაბარება.

მე. — ამბობს ხარიტონოვა, — ამ ამბავმა ძლიერ განმაცვიფრა. არავის, ვინც კი ლენინთან ერთად მიემგზავრებოდა, არ გახსენებია აპრილის საწევრო შესატანის გადახდა და თვითონ მე, როგორც ციურიხის ორგანიზაციის ხაზინადარმა, არ ჩავთვალე საჭიროდ შეგახსენებინა მათთვის ეს, რადგან ვფიქრობდი, რომ ისინი აპრილშივე იქნებოდნენ სამშობლოში, პეტროგრადში.

როცა ლენინი გამოემგზავრა, ხარიტონოვამ გადაშალა შემნახველი სალაროს წიგნაკი. მასში აღნიშნული იყო 5 ფრანკი. არა, მას არ შეეძლო მისი ჩაბარება ბანკში. ხარიტონოვამ შეინახა. რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ, როცა ლენინი უკვე პეტროგრადში იყო, მან უჩვენა ბანკის მუშაკებს, თუ რა ფასი აქვს მოსყიდული პრესის მტაცებას იმის შესახებ, თითქოს ლენინი მილიონერია და გერმანიის იმპერიალიზმის სამსახურში იმყოფება.

დიდი ლენინის სახელი მოგვიწოდებს მაღლა გვეპიროს და წმიდად ვიცავდეთ კომუნისტური პარტიის წევრის საპატიო სახელს, თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდეთ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს ლენინური პარტიისადმი კუთვნილებას.

ფ. მახარაძე.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ნ. დ. ბახუტაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ბრძანებ: [illegible] ლის ამხ. ნიკოლოზ დავითის-ძე ბახუტაიშვილი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ნიკოლოზ [illegible] ბახუტაიშვილი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

**საქართველოს სსრ უმაღლესი სა

დედამიწის ყოველი მხრიდან

მსოფლიო ამ დღეებში

ტიმ ბაკმის მოსსენება

ოტავა, 19 იანვარი. (საკლესი). კანადის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ტიმ ბაკმა მოხსენება გააკეთა პარტიის ეროვნული კომიტეტის აღლუმზე, რომელიც ტორონტში მიმდინარეობს.

განცხადებიდან, რომელიც ეროვნულმა კომიტეტმა პრესისათვის გააკეთა, ჩანს, რომ ტიმ ბაკმა თავის მოხსენებაში, რომელიც მიეძღვნა პოლიტიკურ მდგომარეობას, აღნიშნა, რომ ამჟამად შეიმჩნევა კანადის დემოკრატიული ძალების აქტივიზაციისა და მოგლეთა განვითარებაზე მათი ზეგავლენის ზრდის აშკარა ტენდენცია. ასეთ ვითარებაში, თქვა მან, მონოპოლისტებმა დაიწყეს ახალი კონტრშეტევა მუშების წინააღმდეგ. გაფიცვები, რომლებშიც სულ უფრო ფართოდ მონაწილეობენ მუშები, თქვა შემდეგ ბაკმა, გვაუწყებენ, რომ დაიწყო დიდი სოციალური ბრძოლა, რომლის მსვლელობაში უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ როგორ განხორციელდება კანადის ეკონომიკის რეორგანიზაცია, რომელიც უკვე დაიწყო, და რა შედეგი მოჰყვება მას ხალხის ფართო მასების მდგომარეობის თვალსაზრისით.

შემდეგ მან აღნიშნა, რომ მას აქვთ, რაც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა პირსონის მთავრობა, ამერიკის შეერთებული შტატები უფრო სწრაფი ტემპით ვიდრე ოდესმე უქვემდებარებენ კანადას თავის კონტროლს, ამას კი შეიძლება თან მოჰყვეს ის, რომ კანადის ეკონომიკის დაქვემდებარება უცხოეთის ფინანსური და სამრეწველო წრეების კონტროლს.

ტიმ ბაკმა მკვეთრად გააკრიტიკა ჯონსონის მთავრობის საგარეო პოლიტიკა. ამ მთავრობამ გააერთიანა ამერიკის შეერთებული შტატების მეცადინეობა და ბელგიის რეაქცია და მოაწყო ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო შეჭრა სხვა ქვეყანაში (ესე იგი კონგოში — რედ.). და კვლავ აფართოებს ბინძურ ომს ვიეტნამში.

ინგლისის მინისტრის განცხადება

ლონდონი, 19 იანვარი. (საკლესი). ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა გორდონ-უოკერმა განაცხადა, რომ საბჭოთა პიარაღი, როგორც ატომური, ისე ჩვეულებრივი, გარდა იმ სახეობათა იარაღისა, რომელიც საჭიროა საშინაო უშიშროებისა და საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფისათვის... ჩვენ არ შეგვიძლია, — თქვა მან, — მუდამ ვცხოვრობდეთ დაბალანსებული ატომური დაშინების ვითარებაში".

გორდონ-უოკერი შეეხო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის გაუმჯობესების პრობლემას და აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობამ ლონდონში მოიწვია სსრკ-ს შორის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და საგარეო საქმეთა მინისტერი ა. ა. გრომიკო. „მე მოვიწვიე, — განაგრძო მინისტრმა, — აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მთელი რიგი პოლიტიკური ხელმძღვანელები ჩემთან შესახვედრად ლონდონში".

შეფუდის ვაჭრობა რასსტრელებთან

კაირო, 20 იანვარი. (საკლესი). კაიროში მუშაობას განაგრძობს აფრიკის ერთობის რეგანიზაციის სოციალურ და ეკონომიურ საკითხთა კომისიის მეორე სესია. გუშინდელ სალამოს სხდომაზე განიხილავდნენ საკითხებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეკონომიური ბოიკოტის შესახებ და შრომის პრობლემას აფრიკის ქვეყნებში. კომისიამ მოიწონა რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვს შეწყდეს აფრიკის ყოველი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან.

ჰ. ვილსონი არჩევანის წინ

ლონდონი, 19 იანვარი. (საკლესი). გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვილსონის ვიზიტის მთავარი მიზანია, რომ ბონელ პოლიტიკოსებსა და გენერლებს, რომლებსაც სურთ ხელში ჩაიგდონ ატომური იარაღი, მოაწონებინოს ატლანტიკის ატომური ძალების გეგმა, წერს დღეს „დეილი უორკერი", როცა ეხება ინგლისის პრემიერ-მინისტრ ვილსონის მომავალ გამგზავრებას დასავლეთ გერმანიაში.

გაზეთი მკითხველს მოაგონებს ვილსონის წინანდელ განცხადებებს, როცა იგი ილაშქრებდა იმის წინააღმდეგ, რომ დასავლეთ გერმანიის რაიმე ფორმით ხელში ჩაეგდო ატომური იარაღი, და ხაზს უსვამს, რომ ვილსონი უღალატებს ინგლისელი ხალხის ინტერესებს, თუ გერმანელი მილიტარიზმის მოთვინიერების გზას დაადგა. ასეთ მოთვინიერებას უკვე ეჩაყვა საშინელი შედეგები 1938 და 1939 წლებში.

ეყოფა თუ არა ვილსონს გამბედაობა, კითხულობს გაზეთი, შესთავაზოს ბონს ლეიბორისტული პარტიის წინასაარჩევნო მანიფესტით გათვალისწინებული გეგმა ატომური იარაღის გაყინვისა ცენტრალურ ევროპაში, როგორც პირველი ნაბიჯი ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნისა და ჩვეულებრივ სახეობათა შეიარაღების შემცირების გზაზე. შესთავაზებს თუ არა იგი, რომ დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი ნატოს ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის? ინგლისის პრემიერ-მინისტრმა მტკიცედ უნდა განუცხადოს დასავლეთ გერმანიის ხელმძღვანელებს, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ ინგლისმა მხარი დაუჭიროს გერმანიის ახლანდელი საზღვრების გადასინჯვის გეგმებს, აღნიშნავს დასასრულ „დეილი უორკერი".

სახელოვანი იუბილე

ოტავა, 20 იანვარი. (საკლესი). კანადის პროგრესული საზოგადოებრიობა დღეს აღნიშნავს მებრძოლი მუშათა გაზეთის „კანადიენ ტრიბუნის" 25 წლისთავს. ოცდაუთო წელიწადში „კანადიენ ტრიბუნი" გავლენიან ფაქტორად გადაიქცა კანადის მუშათა მოძრაობაში და მმართველი წრეები იძულებული არიან სულ უფრო მეტი ანგარიში გაუწიონ მას. ეს გაზეთი მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის კანადელი ხალხისა და მისი კომუნისტური ავანგარდის ბრძოლის ცოცხალი მატიანეა.

გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა მეორე მსოფლიო ომის მრისხანე დღეებში.

დაქირავებულნი ფულს მოითხოვენ

ნიუ-იორკი, 19 იანვარი. (საკლესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამაეროო ძალების თვითმფრინავებმა დაბომბეს ობიექტები ხეიტრალური ლაოსის ტერიტორიაზე. ეს დარღვევაა ჟენევის 1962 წლის შეთანხმებებისა, რომელთა მონაწილეა ამერიკის შეერთებული შტატები, და „ჯუნგლის კანონის" პოლიტიკის დაბრუნებაა, განაცხადა სენატში სენატორმა მორზემ.

მან დაგმო ამერიკის მმართველი წრეების ცდები, გაამართლონ ასეთი მოქმედება, და ხაზგასმით აღნიშნა, „რომ ასეთი კურსი შეიცავს აზიაში ფართო ომის წარმოქმნის საშიშროებას.

საშიში პოლიტიკა

ნიუ-იორკი, 20 იანვარი. (საკლესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამაეროო ძალების თვითმფრინავებმა დაბომბეს ობიექტები ხეიტრალური ლაოსის ტერიტორიაზე. ეს დარღვევაა ჟენევის 1962 წლის შეთანხმებებისა, რომელთა მონაწილეა ამერიკის შეერთებული შტატები, და „ჯუნგლის კანონის" პოლიტიკის დაბრუნებაა, განაცხადა სენატორმა მორზემ.

მან დაგმო ამერიკის მმართველი წრეების ცდები, გაამართლონ ასეთი მოქმედება, და ხაზგასმით აღნიშნა, „რომ ასეთი კურსი შეიცავს აზიაში ფართო ომის წარმოქმნის საშიშროებას.

ხომალდი „ჯემინაი"

ნიუ-იორკი, 19 იანვარი. (საკლესი). კენედის კოსმოსიდან დღეს „ტიტან-2" რაკეტის დახმარებით სუბორბიტულ ფრენაში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „ჯემინაი". ხომალდზე იმყოფება ორი „კოსმონავტი-მხედველი".

მეცნიერთა გაანგარიშებით, ხომალდი „ჯემინაი" უნდა ავიდეს 167 კილომეტრ სიმაღლეზე, ხოლო მისი კაფსული პარაშუტით დაეშვება ატლანტის ოკეანეში 3.380 კილომეტრზე. კენედის კოსმოსის სამხრეთ-აღმოსავლეთით. საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ ეს სუბორბიტული ფრენა 19 წუთს გაგრძელდება და იქნება ერთ ხომალდში ორი კოსმონავტის პირველი გაფრენის რეპეტიცია. ეს გაფრენა მიმდინარე წლის აპრილისათვის არის გათვალისწინებული.

ნიუ-იორკი, 19 იანვარი. (საკლესი). ხომალდ „ჯემინაის" გაშვების 20 წუთის შემდეგ მისი კაფსული პარაშუტით დაეშვა ატლანტის ოკეანეში დაახლოებით 3.400 კილომეტრზე კენედის კოსმოდრომიდან. მისი დაშვების ადგილზე სასწრაფოდ გაგზავნეს ვერტმფრინავები და ხომალდები, რომლებმაც უნდა წამოიღონ კაფსული.

კაციჭამიური მოწოდებანი

ნიუ-იორკი, 19 იანვარი. საკლესის კორესპონდენტი ჰ. ფრიმენი იუწყება: „აციკეპიური წინადადება იმის შესახებ, რომ შეერთებულმა შტატებმა ქიმიური და ბაქტეროლოგიური იარაღი გამოიყენონ სამხრეთ-ვიეტნამისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პატიოტული ძალების წინააღმდეგ წამოაყენა ამერიკის ქიმიური საზოგადოების ყოფილმა პრეზიდენტმა კლიფორდ რასელმა.

რასელერი ჟურნალ „სატერდეი ივნინგ პოსტის" მორიგ ნომერში წერს, რომ შეერთებული შტატები ამაოდ ცდილობდნენ ხეიბისა და ბეჩენარის გადგურებით „ვიეტნამში მოწინააღმდეგისათვის მომარაგების გზა გაეშიშვლებინათ", და აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გამოიყენონ ქიმიური და ბაქტეროლოგიური იარაღი ამ მიზნის მისაღწევად.

„ჩვენ შეგვეძლო მთელი მცენარეულობა მოგვეპარა და არ დაგვეშვა ახალი მოსავლის აღება იმ რაიონებში, რომლებიც პარტიზანთა განლაგების ცენტრია, წერს აცეკეპამია, რომელსაც მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი აქვს. ვიეტკონგის (სამხრეთვიეტნამელი პატრიოტი. — რედ. შენიშვნა) ბაზები და კომუნიკაციები გაშიშვლებული იქნებოდა. ვიეტკონგი ვეღარ იარსებებდა ადგილობრივ პროდუქტებს".

რასელერი, რომელიც არ სჯერდება ამ შეხედულებას, რომ ბაქტეროლოგიური და ქიმიური იარაღი გამოიყენონ სამხრეთ ვიეტნამის პარტიზანთა წინააღმდეგ, მოითხოვს „ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ ამ ნივთიერებათა გამოყენებას", ამავე დროს იგი აღნიშნავს, რომ ეფექტური არ იქნება ამერიკის შეერთებული შტატებს ზოგიერთი წრეების წინადადებანი ჩრდილოეთ ვიეტნამის უშუალოდ დაბომბვის შესახებ.

რასელერმა თავისი აზრის მომამზადებელი წინადადება იმ დროს წამოაყენა, როცა ბევრი ამერიკელი ილაშქრებს სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის წინააღმდეგ და მოითხოვს სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარების გამოყვანას.

პირველი შეხვედრები

პარიზი, 20 იანვარი. (საკლესი). გუშინ რამბუიეში (პარიზის ახლოს) გაიმართა საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლის პირველი შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები. როგორც აქ აღნიშნავენ, კუე დე მიურვილმა და შრედერმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი გერმანიის პრობლემის შესახებ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობისა და „საერთო ბაზარში" შემავალი ქვეყნების ურთიერთობის საკითხებზე.

ინგლისელ ჟურნალისტთა ეწვევიან

ოტავა, 20 იანვარი. (საკლესი). „კანადის ტრიბუნის" ინიციატივით ინგლისელ ჟურნალისტთა ჯგუფი ეწვევა ოტავას, ტორონტოს, ვანკუვერს, ედმონტონს, ალბერტას, ტორონტოს, ოტავას, ვანკუვერ, ედმონტონ, ალბერტა, ტორონტო, ოტავა

დმანისში

ერთი რაიონის ქრონიკები

ყველგან ხარაჩოები

ბაშკიჩეთში ახლახან დამთავრდა 1.000 სული ცხვრის ფარეხისა და 120 სული ძროხის ფერმის მშენებლობა.

ყარაბულახის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაშიც დიდი სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. ამ ცოტა ხნის წინათ აქ საექსპლოატაციოდ ჩადასცეს რვაბინიანი საცხოვრებელი სახლი, სასადილოსა და ადმინისტრაციული სახლის შენობები. დამთავრებულია აგრეთვე ერთი საძროხისა და ერთი სახბორეს მშენებლობა. ხრამჰეს II-დან სინათლის მისაღებად გაკყავთ ახალი ელექტროხაზი.

ახალი მშენებლობანი სწრაფად და ფართო მასშტაბით მიმდინარეობს გომარეთის, ჯავახის, ირიგჩანის, ყიზილ-ქილისის და სხვა კოლმეურნეობებში.

ახალი სახლები

რაიონის ცენტრში დამთავრდა ორსართულიანი კაპიტალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. სახლში დაბინავდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მუშა-მოსამსახურეები.

სისტემატურად იზრდება კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი. ეს მშრომელებს საშუალებას აძლევს აიშენონ საკუთარი ბინები. ამ ბოლო ხანს რაიონის ცენტრში თხუთმეტმა კოლმეურნემ დამთავრა საკუთარი სახლის მშენებლობა.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გზების კეთილმოწყობა

რაიონის ცენტრსა და სოფლებში გზების მოსაგლელად და კეთილმოსაწყობად გამოვიდნენ რაიონის მშრომელები, დახვეტეს და დაასუფთავეს ქუჩები. ქუჩებსა და გზებზე გამოჩნდნენ ბულდოზერები და ასფალტის მომსხმელი მანქანები. სწორდება გზის კიდეები, გაიჩეხრებულ გაზონებში ირგვება ახალი მცენარეები და ყვავილები.

შენდება ტელესადგური

დმანისი თბილისს არც ისე შორი მანძილით არის დაშორებული, მაგრამ რელიეფის თავისებურების გამო აქ არ ხერხდება ტელევიზიის ტელესადგურის პირდაპირ მიღება.

ამისათვის აქ შენდება ტელესადგური, რომელიც მიიღებს თბილისის ტელესადგურს. იგი მალე დამთავრდება. რაიონის მშრომელებს საშუალება ეძლევათ ნახონ არა მარტო თბილისის, არამედ მოსკოვის, ლენინგრადის, ბაკოსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების ტელესადგურები.

ტგა მთაში

მდინარე მაშავერას ბაზაზე, სოფელ პანტიანთან, გაკეთეს წყალსაცავი. მას ადგილობრივმა მცხოვრებლებმა პანტიანის ტბა შეარქვეს. პანტიანის ტბის შექმნის მიზანი ძირითადად ის არის, რომ მოირწყას რაიონის ქვედა ზონის კოლმეურნეობათა სახნავ-სათესი ფართობები, მაგრამ აქ მეორე იდეაც წამოიჭრა — გადააქციონ პანტიანის ტბის მიდამოები კულტურისა და დასვენების კერად.

წელს, ამინდები დადგება თუ არა, შეუდგებიან ტბის სანაპიროს კეთილმოწყობას, დაირგვება მარადმწვანე მცენარეები, გაშენდება გაზონები, პარკი, პლაჟი, აიგება რესტორანი „პანტიანის ტბა“, მოეწყობა სპორტული მოედნები. გათვალისწინებულია აგრეთვე ტბაში მოაშენონ კობრი, კალმახი და სხვა თევზი.



სურათზე: რუსული საშუალო სკოლის შენობა.

ფოტო მ. ფრანგიშვილისა.

ასე იძცევიან საბჭოთა ადამიანები

ეს მოხდა იმიერპოლარეთში

მაგადანი. „ან-2“ მიწას მოწყდა და მაშინვე წყვდიადში ჩაიკარგა. პირველი საგანგაშო რადიოგრამა სადისპეტჩერო პუნქტში მაშინ მიიღეს, როდესაც ოვიმფრინავმა ილირნეის უღელტეხილს მიაღწია. მფრინავები ანატოლი შჩულკინი და ნიკოლოზ ერინოვი იტყობინებოდნენ: ძრავას რადაც მოუვიდა. ოვიმფრინავი ციებიანივით თრთოდა. მაგრამ დაბრუნება არ შეიძლებოდა — მეირმეობის შორეულ ბრიგადაში დახმარებას ელოდა ძმიმედ ავადმყოფი მწყემსი.

სასწაულით, უფრო სწორად, მფრინავოა რსტკობის მეოხებით, ოვიმფრინავმა მაინც მიაღწია დანიშნულების პუნქტს. მანქანა გაყინულ მდინარეზე დაეშვა. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ ხრახნს ფრთა მოტეხოდა. დაყოვნება არ შეიძლებოდა: ავადმყოფ მწყემსს სასწრაფო დახმარება სჭირდებოდა, და მაშინ ნ. ერინოვმა და ა. შჩულკინმა 40-გრადუსიან ყინვაში შეხსნეს ხრახნის ფრთების დამოკლება 25 სანტიმეტრით, რის შედეგად აღადგინეს სიმეტრია.

გაანგარიშებამ ცხადყო, რომ ოვიმფრინავს შეეძლო ჰაერში ფრენა. კვლავ უკუნი პოლარული ღამე. ქვემოთ — უკიდეგანო ჩუკოტკის ტუნდრა. ნინ კი სასიხარულო შეხვედრა მეგობრებთან.

ზორგეს თანამეგზრძოლები

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გმირი საბჭოთა მზვერავის რიჰარდ ზორგეს ხელმძღვანელობით მომუშავე სადაზვერვო ორგანიზაციის წევრთა სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ. წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე მაკს კლაუზენი, სამამულო ომის I ხარისხის ორდენით — იუგოსლავიის მოქალაქე ბრანკო ვუჯელიჩი (სიკვდილის შემდეგ) და წითელი ვარსკვლავის ორდენით — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე ანა კლაუზენი. ინტერესს მოკლებული არ იქნება ვიცოდეთ, თუ ვინ იყვნენ ეს მამაცი ადამიანები.

◇ ◇

ცნობილი საბჭოთა მზვერავის რიჰარდ ზორგეს სახელი ფართოდ არის ცნობილი არა მარტო სსრ კავშირში, არამედ საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში. მასთან ერთად აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ იუოსლავი ჟურნალისტი ბრანკო ვუჯელიჩი და ცოლ-ქმარი ანა და მაკს კლაუზენები.

ბრანკო ვუჯელიჩი ბელგრადის გაზეთ „პოლიტიკისა“ და საფრანგეთის ჟურნალ „ვის“ წარმომადგენელი იყო, ეხმარებოდა საფრანგეთის დეპეშათა საავენტოს წარმომადგენელი. იგი არ იქცევდა ჰიტლერული გერმანიის საელჩოსა და იაპონიის კონტრდაზვერვის განსაკუთრებულ ყურადღებას, ჰქონდა კოსპირაციული ბინა, სადაც ხდებოდა შეხვედრები და საუბრები. საბჭოთა მზვერავები ერთმანეთს უზიარებდნენ საჭირო ცნობებს, იმუშავებდნენ ახალი ოპერაციების გეგმებს.

1941 წლის შემოდგომაზე ბრანკო ვუჯელიჩი სადაზვერვო საქმიანობაში მონაწილეობისათვის დაიპატიმრეს იაპონელმა ხელისუფლებამ და მუდმივი პატიმრობა მიუსაჯეს. იგი იაპონიის საპყრობილეში გარდაიცვალა 1945 წლის 13 იანვარს.

იუგოსლავი მოქალაქის ბრანკო ვუჯელიჩის დაჯილდოება სამამულო ომის I ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ) აქტიური და წარმატებითი საქმიანობისათვის სადაზვერვო ორგანიზაციაში, რომელიც მუშაობდა რ. ზორგეს ხელმძღვანელობით, ფაშიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი დამსახურების დამსახურებული აღიარებაა.

სულ ახალგაზრდა, ისე, როგორც მილიონობით მისი თანატოლი, ზეინკლის შეგირდი მაკს კლაუზენი მოხვდა პირველი მსოფლიო ომის სანგრებში, იგი რადიასტი გახდა. ამ პროფესიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მთელ მის შემდგომ ცხოვრებაში.

კაიზერის გერმანიის დამპრალი ხების შემდეგ მაკს კლაუზენი ერთხანს უმუშევარია, შემდეგ კი სავაჭრო ფლოტის მეზღვაური. 1927 წელს კლაუზენი პირველად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. იგი გაეცნო საბჭოთა ადამიანებს, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას. პამბურგში დაბრუნების შემდეგ მაკს კლაუზენი შეიკრა გერმანიის კომუნისტურ პარტიაში.

1929 წელს მაკს კლაუზენი შეხვდა რიჰარდ ზორგეს. მას შემდეგ დაპატიმრების დღემდე — 1941 წლის 18 ოქტომბრამდე. ისინი თითქმის განუყრელი არიან და მხარდამხარ მუშაობენ. კლაუზენი შესანიშნავი რადიტი, მაღაი ადამიანი და ნიჭიერი მზვერავი იყო. იგი რთულ პირობებში უზრუნველყოფდა ცენტრისათვის უმნიშვნელოვანესი ცნობების გადაცემას, რომლებსაც მას ზორგეს ჯგუფი აწვდიდა. ბრძოლაში ერთგული ამხანაგია მისი მეუღლე ანა კლაუზენი, რომელიც დამოუკიდებლად ასრულებდა მთელ რიგ ძნელ სადაზვერვო დავალებებს.

თავისი საქმის სიმართლის რწმენა, სიმტკიცე, რომელიც კომუნისტს ახასიათებს, შეიარაღჩუნა მაკს კლაუზენმა ყველაზე დიდი განსაცდელის დროს. მძიმედ ავადმყოფს მას მუდმივი პატიმრობა მიუსაჯეს. ანა კლაუზენს კი სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

მილიტარისტული იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ ცოლ-ქმარი კლაუზენები საპყრობილედან გაათავისუფლეს. მალე ისინი გაეგზავნენ მაქსის სამშობლოში და ახლაც ცხოვრობენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ცოლ-ქმარი კლაუზენები გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წევრები, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის აქტიური მშენებლები არიან.

საბჭოთა სახელმწიფოს საპატიო ჯილდო ლენინდარული მზვერავის რიჰარდ ზორგეს აქტიური თანამშემწეების, ფაშიზმის წინააღმდეგ მტკიცე მებრძოლების ცოლ-ქმარ კლაუზენების დიდმნიშვნელოვანი დამსახურების დაფასებაა.

(საკვლევი).

XX საუკუნის საოცრებანი

□ ათასობით კილომეტრი ფეხით □ მათ არ იციან ავადმყოფობა □ სამი-ოთხი თვე უჭამელად □ ძველ ელინთა შთამომავალნი

◇ ◇

ყოველ წელიწადს ჯანმრთელი სავსე ორი ძალიელი დაეშვება ხოლმე ინდოეთის უკიდურესი ჩრდილოეთის მთებიდან და ფეხით გაიხს გრძელ. და მომქანცველ გზას ბომბეიმდე, ძიდის ალა-ხანთან. ესენი არიან წარგზავნილნი საიდუმლოებით ძოცელი ხალხის — ხუნზების. ეს ხალხი ცხოვრობს ჰიმალაის ხეობაში, ზღვის დონიდან ორი ათას მეტრ სიმაღლეზე.

უცნაური სანახაობას წარმოადგენს ეს ორი ადამიანი. მათ დაღლა არ ეტყობათ მას შემდეგ, რაც ათასკილომეტრიანი გზა გაიარეს ველაყანაში, სადაც უდაბნოებს ძოცი ცელის, მთებს კი ეელური ჯუნგლები. ათასწლოვანი ჩვეულების თანახმად ხუნზების წარმომადგენლები ბომბეიში მიდიან იმიტომ, რომ ღმერთებს შესწირონ ხალხის მიერ დაგროვებული ძოელი სიმდიდრე, რადგან ხუნზები ბედნიერებას ფულში როდი ეძებენ. ჯანმრთელობა — აი ხუნზების კულტი და ერთადერთი სიმდიდრეა. ამაში იფარება ამ ხალხის საიდუმლოება, რომლის ამოხსნას რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ცდილობენ მეცნიერები და მედიცინა.

შოტლანდიელმა ექიმმა მაკ კარისონმა თოთხმეტი წელი გაატარა ჩრდილოეთ ჰიმალაიში იმ ხალხებს შორის, რომლებიც ხუნზების მეზობლად ცხოვრობენ. მხოლოდ ხალმალი, რომლის ფსკერზე მთის მდინარე მიედინება, ყოფს ამ ორ ტომს. მაშინ როდესაც ერთ ხალინზე ხშირად უხდებოდა მძიმე ავადმყოფობის მკურნალობა, მეორე ხალინზე არ იყო არავითარი ნაშანი იმისა, რომ ვინმე ავად გახდა. მის დახმარებას ექ არავინ არ თხოულობდა.

პირველი, რამაც მისი გაკვირვება გამოიწვია, იყო ის, რომ აქ არ ჭირდათ თერაპია, თუნდაც სტუდიად პრიმიტიული. უძველესი დროიდანვე ხუნზები არასოდეს არ მკურნალობენ. სიცოცხლის ხანგრძლივობა კი პატარა ხეობაში საკვლევრდო იყო — 110-120 წელი.

ამ ხნის მოხუცის „მსუბუქი“ რაციონი მთაში თხის ბალიკებზე ათკილომეტრიანი ფეხით ოთხ-ოთხ თვე უჭამელად ყოფას „ბედნიერი ხეობის“ მცხოვრებთა ფიზიკურ ფენომენში“ მაშინ მაკ კარისონმა ისეთი ექსპერიმენტი დაიყენა, მი შენდებოდა). ხეობაში თანამედროვეთა ფიზიკურ ფენომენში“ მაშინ მაკ კარისონმა ისეთი ექსპერიმენტი დაიყენა, მი შენდებოდა). ხეობაში თანამედროვეთა ... ეს მაკ კარისონს ჰქონდა აღწერილი ... ეს მაკ კარისონს ჰქონდა აღწერილი



ხუნზები 120 წლამდე ცოცხლობენ

თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 8-15-00-დან. 09-მდე რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 8-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 8-46 10, განყოფილებებისა: პარტიული—9-87-61, კოლაგანდის—8-22-89, მრეწველობის — 8-20 48, სოფლის მეურნეობის—8-32-48 საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-35-01, ინფორმაციის — 8-16 90, უცხოეთის - 8-18-55, წერილების—9-73-24, ილუსტრაციის—8-19-99, განცხადებების—9-94-42.



КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ᲡᲔ 05421

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ფიზიოლოგთა ფორუმზე

ბაბრა. (ტელეფონით. საკ. კორ.). „გაგრის საუბრები“ — ამ სახელწოდებით არის ცნობილი ფიზიოლოგთა სრულიად საკავშირო კონფერენციები, რომლებიც ეძღვნება ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციისა და სტრუქტურის საკითხებს.

ყოველ ორ-სამ წელიწადში ერთხელ იმართება მეცნიერთა ასეთი ფორუმები. და ამიამადაც მე-5 კონფერენციაზე გაგრაში კვლავ შეიკრიბნენ სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გამოჩენილი მეცნიერები, რომლებიც თავის ტვინის ფუნქციისა და სტრუქტურის პრობლემებზე მუშაობენ.

ჩამოსულ მეცნიერთა შორის არიან აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი, აკადემიკოსი დ. ვორონეცოვი (ციკვი), ფიზიოლოგთა საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე პროფესორი ლ. ვორონინი (მოსკოვი), სსრ კავშირის მეფიზიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამყვანი წევრი პროფესორი ბ. სარაჯიშვილი, პროფესორები ვ. რუსინოვი (მოსკოვი), ე. გრაშტიანი (უნგეთი), ტ. ვეიანი (ჩეხოსლოვაკია), ო. ზაგერი (რუმინეთი) და სხვ.

ამჯერად „გაგრის საუბრები“ კონკრეტულად მიძღვნილია ემოციური რეაქციების პრობლემებისადმი. გამოჩენილი ფიზიოლოგები და მორფოლოგები სამი დღის განმავლობაში წინასწარ ეცნობოდნენ კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებებს.

გუშინ დილით აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო კონფერენციის პირველი სხდომა. მოსმენილ იქნა პროფესორების გ. სმირნოვის, ა. კოგანისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ა. მიქელაძის მოხსენებები.

კონფერენციაზე სულ მოსმენილი იქნება 23 მოხსენება. სხდომებზე ერთდროულად იჩენენენ მეცნიერულ კინოფილმებს ცხოველთა ემოციური რეაქციების შესახებ.

კონფერენცია 28 იანვრამდე გასტანს.



ცისფერი ეკრანი წალენჯიხაში

წალენჯიხა. (საკ. კორ.). ამ დღეებში წალენჯიხის ცენტრს ორი კილომეტრით დაშორებულ გორაკზე — ნაცაბუზე ალიმართა 35 მეტრი სიმაღლის ტელეგადაცემის მიმღები და 42 მეტრი სიმაღლის გადამცემი ანძები.

მალე წალენჯიხელები და მეზობელი რაიონის ჩხოროწყუს მცხოვრებლები მიიღებენ თბილისის ტელესტუდიის გადაცემებს.

ზამთარი მავ ზღვაზე

ექვსი თვრი სამგზავრო ლაინერი დადის ამჟამად ბათუმსა და ყირიმს შორის. ეს გემებია „გამარჯვება“, „უკრაინა“, „ლატვია“, „აპერა“, „სვანეთი“, „კოლხეთი“.

შავი ზღვის სანაპიროზე კომფორტული თბომავლებით მოგზაურობა ზამთრის პერიოდშიც კი მგზავრებს დიდ კმაყოფილებას ანიჭებს. მათ შესაძლებლობა აქვთ ეწვიონ ისეთ ქალაქებს, როგორიც არის იალტა, სოჭი, სოხუმი, ფოთი, ბათუმი, სადაც ზამთარშიც კი ჰყვავის მაგნოლია.

ა. გურგენიძე.



მუსკომედიის გასტროლი

ხაშური. მგზავრელებს ესტუმრა თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი. რკინიგზის კულტურის სასახლეში მაყურებელმა ნახა თეატრის დადგმები „მეკარე“, „შესანიშნავი სანეული“, „სამი ბატონის მსახური“, „ორი ქალიშვილი“.

ყოველწლიურად ათასობით დამსვენებელი ჩამოდის კურორტ მენჯში. ჩვენს ხურათზე აღბეჭდილია ამ ლამაზი ადგილის ერთ-ერთი კუთხე — სანატორიუმ „კოლხეთის“ ხედი. ფოტო გ. ჯაველისა.

ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

დიდი ასპარეზობა გუდაკეშეტში

ამ დღეებში საბჭოთა კავშირის საშაქმატო ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა საბჭოთა გროსმაისტერების მოთაფლურობის საკითხი ბუდაპეშტის დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც იწყება თებერვლის შუა რიცხვებში და ეძღვნება გერმანელ ფაშისტთაგან ქალაქის განთავისუფლების მე-20 წლისთავს. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ამ ასპარეზობაში საბჭოთა კავშირიდან ითამაშებენ გროსმაისტერები **ვ. კორჩნოი, ი. ავერბახი, მ. ტალიმანოვი** და ოსტატი **ვ. ოსნოსი.**

გარდა საბჭოთა მოშაქმატეებისა, შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ გროსმაისტერები **ვ. ულმანი** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), **ა. დარგა** (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), **ნ. პადეანუი** ან **გ. ტრანგოვი** (ბულგარეთი), **ლ. საბო, ლ. ლენდიელი, ი. �ეკი** (სამეცნიერო უნგრეთიდან) და სხვ., სულ 11 გროსმაისტერი და 5 ოსტატი.

გუშინ კიევში გაიმართა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მეთექვსმეტე ტური.

ბრონშტეინმა მოუგო ავერბახს, ტალმა — ოსნოსს, ხოლმოვმა — პეტერსონს, ლეონმა — ვასიუკოვს, ბორისენკომ — გოლდენოვს. კროგიუს-ბანიკის, ლუტიკოვ-შამკოვიჩისა და სუეტინ-ლიავდანსკის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ორი პარტია გადაიდო. კორჩნოის მოსაგები პოზიცია აქვს სახაროვთან. უპირატესობას ინარჩუნებს აგრეთვე შტეინი ბაუელინთან გადადებულ პარტიაში.

ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა. თექვსმეტი ტურის შემდეგ **ვ. კორჩნოის** 11,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, **დ. ბრონშტეინს** — 11,5 ქულა.

დღეს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

კიევის საჭადრაკო ჩემპიონატი

საფლვარგარეთის სტადიონებზე

რიო-დე-ჟანეიროში დაიწყო ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. აქ ერთმანეთს ეცილებიან მადრიდის „ატლეტიკოს“, ბრაზილიის „ფლამენგოსა“ და „ვასკო და გამას“, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. პირველ მატჩში გერმანელი ფეხბურთელები შეხვდნენ „ვასკო და გამას“ და დამარცხდნენ 2:3.

სანტ-იაბოში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში ჩილის, არგენტინის, ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების მონაწილეობით. მორიგ მატჩში ჩეხოსლოვაკიის კლუბების ნაკრები შეხვდა ბრაზილიის ცნობილ გუნდს — „სანტოსს“ და დამარცხდა ანგარიშით 4:6. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელთა მიერ გატანილი 6 ბურთიდან ოთხის ავტორი პელე იყო. „სანტოსმა“ დამარცხა აგრეთვე ჩილის „უნივერსიდად კატოლიკას“ გუნდი 2:1. ჩილის „კოლო კოლოსა“ და არგენტინის „რივერ პლეიტის“ მატჩი დამთავრდა ფრედ 3:3.

ლ. პორტიში არ თმობს ლიდეროობას

ამსტერდამი, 20 იანვარი. (საკ-დესი). უნგრელი გროსმაისტერი **ლ. პორტიში** ბევერვეიკის საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალის მთავარი ტურნირის მე-11 ტურში მან მოუგო მრისხანე მოწინააღმდეგეს იუგოსლავ გროსმაისტერ ა. მატანოვიჩს. ამ გამარჯვებამ კვლავ ერთ ქულამდე მიიყვანა ლიდერსა და მის უახლოეს მეტოქეს — საბჭოთა გროსმაისტერ **ე. გელერს** შორის, რომელმაც ამ დღეს ყაიმით დაამთავრა პარტია ჰოლანდიელ ი. დონნერთან.

ოთხი ენაკვნილი ტური წინ **ლ. პორტიშს** აქვს რვა ქულა, **ე. გელერს** — შვიდი. შემდეგ არიან ბულგარელი **მ. ბობოცევი,** ნორვეგიელი **ფ. იოჰანსენი** და **ი. დონერი.**

წინანდებურად „ჩამორჩენილია“ შორის არის ბაკოელი ოსტატი **ვ. ბაგიროვი,** რომელსაც 3,5 ქულა აქვს 10 შესაძლებელში.

წარმატებანი არა აქვს არაძირითად ტურნირში ჩვენს შადრინსკელ 15 წლის ოსტატს **ი. ბალაშოვს.** ქალთა შეჯიბრებაში კი წინ ალის რუმინეთის სამგზის ჩემპიონი **ა. ნიკოლაუ.**

ქრონიკა

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს ქალაქების მოსახლეობის მომარაგება ახალი ბოსტნეულით, ძიერწყოს შეუფერხებელი ვაჭრობა და გეგმაზომიერად უზრუნველყოფილ იქნეს გადამამუშავებელი მრეწველობა ნედლეულით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბილის, ციტრუსების, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთავარი სამმართველო — **„საქხილბოსტანი“.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ **ამხ. ა. კ. ქვარცხავა** დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსების, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთავარი სამმართველოს — „საქხილბოსტანის“ უფროსად.

ეს საინტერესოა

ხუთი ნლის გოლიათი

ბარნაული, 19 იანვარი. (საკ-დესის კორ.). თავისებური ჩემპიონი გახდა ხუთი წლის კოლია ვოლკენინი თავის სოფელ სტარო-ალეიკში. იგი გამოვიდა სბავშვო დილაზე და 15-ჯერ ასწია ნახევარფუთიანი გირი, კოლია 132 სანტიმეტრის სიმაღლისაა, ხოლო იწონის 45 კილოგრამს. ამით მან აჯობა თავის ძმას 12 წლის სერიოჟას.

კოლია სიამოვნებით ვარჯიშობს დილაობით, არ უყვარს უსაქმოდ ჯდომა. ზაფხულში რწყავდა ვაშლის ხეებს, უყვავილებს, კვლებს ბოსტანში. შემოდგომაზე კი მოსავალს იღებდა.

ამას წინათ კოლია გახარჯეს ექიმებმა და გამოიტანეს დასკვნა, რომ ბიჭი სავსებით ჯანმრთელია.

არაჩვეულებრივი კვარცი

მაგადანი. 19 იანვარი. (საკ-დესის კორ.). ბელოვეის სახელობის მაღაროში მგზავრავეამა ა. დოროფეევმა და ბ. კოროტკიმ აღმოაჩინეს ცისფერი კვარცის უზარმაზარი ნატეხები. ამ ნატეხებს ფინანსად დაუკვეთა ოქრო. ძვირფასი ლითონები დამუშავებული კვარცის საერთო წონა 17 კილოგრამს აღემატება.

რა ვნახოთ, რა ვოვისმინოთ

ტელევიზია

21 იანვარი

12.00 — მხატვრული ფილმი „მეწყვეტილი სიმღერა“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — თქვენთვის; პატარებო — „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — გადაცემა — „ეფროსების მხარდამხარ“, 18.30 — მოსწავლეთათვის „პროფესიის რომანტიკა“ (გადაცემა მოსკოვიდან), 19.00 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადაცემა მოსკოვიდან), 19.10 — სატელევიზიო ფილმი „ლენინის რჩევით“ (გადაცემა მოსკოვიდან), 19.50 — ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე, 20.10 — გადაცემა — „მუსიკოსთა ოჯახი — ძმები შანიძეები“, 20.45 — ახალი ამბები, 21.10 — მხატვრული ფილმი „რევოლუციის სახელით“, 22.30 — ახალი ამბების ესტაფეტა (გადაცემა ლენინგრადიდან).

თეატრები

21 იანვარი

რუსთაველის სახელობის დიდი დრამატული თეატრი — ოვეანეს ერივი კომედია (მე-20 ამონ. 1-ლი წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის მცირე დრამატული** — უოლტერ გულიანის ფორტეპიანო „კონცერტი“, **მარჯანიშვილის სახელობის** — თამაში ჭეავის ყანაში (მე-18 ამონ. 1-ლი წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ოკეანე (მე-7 ამონ. მე-5 წარმოდგენა), **სანკულტურის** — ალ. ბოხდა (1-ლი ამონ. მე-2 წარმოდგენა).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.